ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N79

ქ.თბილისი 27 აპრილი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	ლევან დარახველიძე
გიორგი დოხტურიშვილი	ერეკლე კუხიანიძე
ანა ლაშხი	ზაზა მამალაძე
ქეთევან მამულაშვილი	მიხეილ მესხი
გიორგი მუსხელიშვილი	თინათინ ნიბლოშვილი
შალვა ოგბაიძე	ვაჟა ოთარაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	დათო რურუა
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე	ბორია ფირცხელიანი
ვახტანგ შაქარიშვილი	გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე	ვლადიმერ ძნელაძე
დავით ჭელიძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)	ილია ჯიშკარიანი
ჯაბა ჯიშკარიანი	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს კახი კავსაძის ხსოვნას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ქალაქში გაჩნდა უამრავი ახალი რეკრეაციული სივრცე, სკვერი, და პარკი, რომელთა დასუფთავების პრობლემა ნელ-ნელა თავს იჩენს და აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან „თბილსერვის ჯგუფს“ და „ეკოსერვის ჯგუფს“ უნდა გაეწიოს მაქსიმალური მხარდაჭერა, მათ შორის, კადრების გაზრდის თუ იქ მომუშავე ადამიანებისთვის ხელფასის მატების კუთხით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ რევაზ სოხაძის მიერ გაჟღერებული ინიციატივა მნიშვნელოვანია და გამოთქვა მოსაზრება, რომ საკრებულომ თხოვნით მიმართოს ქ.თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს განიხილოს აღნიშნული საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების

ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

12. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VII, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის, კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.003.01.531 და N01.11.10.001.003.01.530) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.010.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-ის (ს/კ.: 404567713) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ მიმდებარედ/ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინამთმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ს/კ.: N01.14.14.005.197) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

16. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „სოლუმ დეველოპმენტის“ (ს/კ.: 405148086) მიმართ მისამართებზე - ქ.თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N13-ში (ს/კ.: N01.11.04.005.194) (ს/კ.: N01.11.04.005.194) და ქ.თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქ.N29-ში (ს/კ.:

01.11.10.004.092) არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

17. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

18. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

19. „ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

20. „ქალაქ თბილისში, ვასო გოძიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.95.253; N81.02.94.582) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

22. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის, (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი"-ს შენობის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

23. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ნუშის ბაღის" ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.134; N01.20.01.010.448; N01.20.01.010.172; N01.20.01.010.196; N01.20.01.010.449; N01.20.01.010.252; N01.20.01.010.260; N01.20.01.010.259; N01.20.01.010.118) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

24. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

25. „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10-ში შ.პ.ს. „დიღომი დისთრიქთ აფართმენთი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის N03/1539 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ; ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.11.13.001.080; N01.11.13.002.188; N01.11.13.002.168; N01.11.13.002.190; N01.11.13.002.187) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, N23, N25, N27; სოფელი თხინვალა; ქალაქი თბილისი, ფერმერთა ქუჩა N109-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.15.546; N72.16.23.856; N72.16.23.981; N72.16.23.982; N72.16.23.857; N72.16.23.219) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.129-ის ნაწილზე; N01.12.01.005.051; N01.12.01.005.091; ნაკვეთი: N5/50, N5/51, N005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.244; N01.72.14.008.245; N01.72.14.008.295) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN81.02.96.502, N81.02.96.206, N81.02.97.395, N81.02.01.778, N81.02.01.779, N81.02.01.878, N81.02.01.879, N81.02.01.880, N81.02.01.881, N81.02.01.876, N81.02.01.871, N81.02.01.883, N81.02.01.884, N81.02.01.327, N81.02.01.332) დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (სასტუმროები, საცხოვრებელი სახლები და დასასვენებელი ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 26 მარტის N551 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2020 წელს შესრულებულ სამუშაოთა წლიური ანგარიში“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

34. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ბათუმის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

35. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, დიღმის ქედის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

36. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სერგი წულაძის ქუჩის მონაკვეთისთვის შალვა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

37. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის თეთრი წყაროს ქუჩის და თეთრი წყაროს I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

38. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეფე ლუარსაბ I-ის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

39. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გია ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

40. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

41. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I შესახვევისთვის და ალექსანდრე ჭავჭავაძის II ჩიხისთვის ფიჭვების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

42. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ღვინის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

43. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პოლიციის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის პოლიციის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

44. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში, ივანე მაჩაბლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილება ითვალისწინებს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტების განსაზღვრას, კერძოდ, წარმოდგენილია ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული 300 ერთეული მიკროავტობუსის ტექნიკური გამოყოფა და განცალკევებულად დამტკიცება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა

და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს M_3 კატეგორიის ავტობუსების დაზიანების შემთხვევაში, მთავრობისთვის დროებითი ცვლილების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი მოიცავს ჭავჭავაძის გამზირზე, ვეკუასა და ხიზანიშვილის ქუჩებზე ავტობუსების გაჩერების ადგილების განსაზღვრას, რაც გამომდინარეობს საგზაო მოძრაობის ორგანიზების კუთხით განხორციელებული ცვლილებებიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია მიკროავტობუსებით და ავტობუსებით მგზავრობის ტარიფის განსაზღვრა და ტექნიკური კუთხით მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების

ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ უნივერსიტეტი-ბაგების ახალი საბაგირო გზით მგზავრობის ტარიფი განსაზღვრულია ერთი ლარის ოდენობით, ხოლო სტუდენტებისთვის არის უფასო. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს, აღნიშნული საბაგირო გზით სარგებლობის დროს, სტუდენტების უფასო გადაადგილებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით დამატებულია უნივერსიტეტი-ბაგების საბაგირო გზის ფუნქციონირების საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ

წარმოდგენილი ცვლილებით ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ მიკროავტობუსებში აიკრძალება მგზავრის ფეხზე დადგომა.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიკროავტობუსებისთვის ე.წ. მთვლელებს შეისყიდის მუნიციპალიტეტი და დაინტერესდა, აღნიშნული დაკავშირებულია „ახალი კორონავირუსის - COVID-19"-ის რეგულაციებთან თუ საუბარია მგზავრთა რაოდენობის კონტროლზე და ასევე, თუ რატომ ხდება აღნიშნული აპარატურის შეძენა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და არა კომპანიის ხარჯით.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიკროავტობუსები ინტეგრირებულია, როგორც მეტროსთან, ასევე, ავტობუსებთან და შესაბამისად, მოსახლეობა სარგებლობს მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი სამგზავრო შეღავათებით. იქიდან გამომდინარე, რომ მთვლელზე დაფიქსირებული მგზავრთა ნაკადის თანხა ირიცხება სააგენტოს ანგარიშზე, კომპანიას პასუხისმგებლობა ექნება სააგენტოს ანგარიშზე გადარიცხოს არა ერთიანი გადახდის სისტემით გადახდილი თანხა, არამედ მთვლელზე დაფიქსირებული მგზავრთა რაოდენობის შესაბამისი თანხა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გარკვეული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის შეფარდებული ჯარიმის ან საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო

ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული და მომდევნო ორი საკითხი ეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც ადგილობრივ თვითმმართველობას მიენიჭა უფლებამოსილება ვიდეოკამერებით უზრუნველყოს საჯარიმო სანქციების დაკისრება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტებით, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიენიჭება ვიდეოჯარიმების დაწერის უფლებამოსილება, რაც დაზოგავს საპატრულო პოლიციის რესურსებს და ასევე, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ნორმებით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებას.

ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ქალაქში არსებულ პარკირების ადმინისტრირების პრობლემაზე. განაცხადა, რომ ამ მიმართულებით არსებული რესურსი არასკამარისია, საჭიროებს გარკვეული ტიპის ღონისძიებების განხორციელებას და მიმართა ვასილ აბულაძეს, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, საკრებულოსთან ერთად, შეიმუშაოს აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზა.

ვასილ აბულაძის თქმით, სააგენტო იმუშავებს ამ მიმართულებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პარკირებასთან დაკავშირებით საჯარიმო სანქცია არის ძალიან დაბალი და აქედან გამომდინარე, საზოგადოება არ ითვალისწინებს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მძღოლებს უღირთ ჯარიმის გადახდა. მან აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი აქვს წინადადება საჯარიმო სანქციების გაზრდის მიმართულებით.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ ქალაქის დღევანდელი განაშენიანების პირობებში გათვალისწინებული არ არის პარკირების საშუალება და აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა უნდა იფიქროს არა საჯარიმო სანქციების გაზრდაზე, არამედ ქალაქის განვითარების გეგმის შეცვლაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი VII, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.026.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 98 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2005-08 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის, კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.003.01.531 და N01.11.10.001.003.01.530) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 148 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომელთაგან ერთი 2006, ხოლო მეორე 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.010.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-ის (ს/კ.: 404567713) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ მიმდებარედ/ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინამთმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ს/კ.: N01.14.14.005.197) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“ 1600000 ლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელ მშენებლობებს, ხოლო სანაცვლოდ, „მზიურის“ მიმდებარედ, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის 3.5-დან 3.75-მდე გადამეტების უფლებას, რაც ნიშნავს არსებულ არქიტექტურულ პროექტზე ერთი სართულის დამატებას.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხი ძალიან მტკივნეული თემაა და ქალაქს ამ პრობლემის მოგვარება „ძალიან ძვირი უჯდება“. თუმცა, წარმოდგენილი საკითხი იმ არასწორი მოქმედების გაგრძელებაა, რაც ამ ტერიტორიაზე განაშენიანების დაწყება იყო, რადგან იქ, სადაც უნდა აშენებულიყო სპორტული კომპლექსი - რაგბის სტადიონები, დღეს დგას მრავალსართულიანი და მრავალფუნქციური ნაგებობები. განაცხადა, რომ „იმ დიდი სიკეთის ქვეშ, რასაც ჰქვია ცენტრ პოინტის პრობლემის გადაწყვეტა და უამრავი ადამიანისთვის საკუთარი ჭერის მიცემა, შეფარულია დამატებითი კომერციული, ბიზნეს არაჯანსაღი ინტერესები და კიდევ უნდა დაუმატოთ გარკვეული მოცულობის კოეფიციენტები“, რაც, მისი თქმით, არასწორია და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭერს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

16. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „სოლუმ დეველოპმენტის" (ს/კ.: 405148086) მიმართ მისამართებზე - ქ.თბილისი, ბიჭვინთის მესამე შესახვევი, N13-ში (ს/კ.: N01.11.04.005.194) (ს/კ.: N01.11.04.005.194) და ქ.თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქ.N29-ში (ს/კ.: 01.11.10.004.092) არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტიც ეხება შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების პრობლემის მოგვარებას. ამ შემთხვევაში, შპს „სოლუმ დეველოპმენტი" ბიჭვინთის მესამე შესახვევი N13-ში და მირაქიშვილის ქ.N29-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას, რომლის ფარგლებშიც, პირველ შემთხვევაში კორპუსი არ აღემატება 9 სართულს, ხოლო მეორე შემთხვევაში - 11 სართულს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დღეს მოქმედი რედაქციით, ღობეებთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვით, ღობის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1.80 მეტრს. საერთაშორისო ურთიერთობებიდან და კონვენციიდან გამომდინარე, უფრო მეტად დაცული რომ იყოს საელჩოებისა და დიპლომატიური კორპუსის მიწის ნაკვეთები, წარმოდგენილი ცვლილებით, მათთვის დასაშვები იქნება 1.80 მეტრზე მაღალი ღობის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-03211025-03 თარიღი: 12.04.2021, N12-032110314-03 თარიღი: 13.04.2021, N12-032111357-03 თარიღი: 23.04.2021 და N12-032111612-03 თარიღი: 26.04.2021, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაიდოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-032110314-03 წერილით წარმოდგენილი „მ" პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 9377 კვ.მ., რომელზეც, მოქმედი ფუნქციური ზონის - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის ფარგლებში, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება, სადაც საცხოვრებელი ფუნქციით დაიტვირთება 75%, ხოლო 25% დაეთმობა კომერციულ ფართებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, ვასო გომიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 16438 კვ.მ., სადაც დაგეგმილია სამი მრავალბინიანი კორპუსის განთავსება, საცხოვრებელი ზონა 6-ის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.95.253; N81.02.94.582) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 45000 კვ.მ. დაგეგმილია ტერიტორიის გაერთიანება 37 საკადასტრო ერთეულად, სადაც 32 საკადასტრო ერთეულზე განთავსდება ინდივიდუალური სახლები, ხოლო ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი დაეთმობა სკვერს, ღია სპორტულ მოედნებს და საგზაო ინფრასტრუქტურას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის, (ყოფილი დოსაფის) აღმოსავლეთით; ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი"-ს შენობის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 18000 კვ.მ., სადაც საცხოვრებელი ზონა 6-ის ფარგლებში, განთავსდება სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი და ორი ერთსართულიანი შენობა, რომელთაგან ერთი იქნება სპორტული დარბაზი, ხოლო მეორე - კომერციული ფუნქციის შენობა-ნაგებობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ნუშის ბაღის" ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.134; N01.20.01.010.448; N01.20.01.010.172; N01.20.01.010.196; N01.20.01.010.449; N01.20.01.010.252; N01.20.01.010.260; N01.20.01.010.259; N01.20.01.010.118) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 5756 კვ.მ., სადაც, მოქმედი ფუნქციური ზონის -

საცხოვრებელი ზონა 1-ის ფარგლებში, დაგეგმილია მიწის ნაკვეთების გაერთიანება და ერთი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 39000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წლის 15 დეკემბერს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 5-ის ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომლექსის განაშენიანება, რომლის მაქსიმალური სიმაღლე იქნება 8 სართული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10-ში შ.პ.ს. „დიღომი დისთრიქთ აფართმენთი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის N03/1539 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 10527 კვ.მ., სადაც, საკრებულოს განკარგულებით, შეთანხმდა დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გამოსაყენებელი ხელშემწყობი ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, კორექტირება ეხება დაუსრულებელ ორ ბლოკს, რომელთა სართულიანობა 14-16 სართულიდან იზრდება 18-19 სართულამდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, ხევმმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ; ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.11.13.001.080; N01.11.13.002.188; N01.11.13.002.168; N01.11.13.002.190; N01.11.13.002.187) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 14911 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წლის 8 დეკემბერს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, ტერიტორიაზე განთავსდება ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა, სადაც 75% დაიტვირთება საცხოვრებელი, ხოლო 25% კომერციულ ფუნქციით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, N23, N25, N27; სოფელი თხინვალა; ქალაქი თბილისი, ფერმერთა ქუჩა N109-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.15.546; N72.16.23.856; N72.16.23.981; N72.16.23.982; N72.16.23.857; N72.16.23.219) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 56278 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წლის 1 ოქტომბერს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, ძირითადად, 2-3 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 62115 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წლის 6 ნოემბერს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.129-ის ნაწილზე; N01.12.01.005.051; N01.12.01.005.091; ნაკვეთი: N5/50, N5/51, N005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 24092 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, საკადასტრო კოდების გაერთიანება და მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობების განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.244; N01.72.14.008.245; N01.72.14.008.295) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 83000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წლის 8 სექტემბერს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანება, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN81.02.96.502, N81.02.96.206, N81.02.97.395, N81.02.01.778, N81.02.01.779, N81.02.01.878, N81.02.01.879, N81.02.01.880, N81.02.01.881, N81.02.01.876, N81.02.01.871, N81.02.01.883, N81.02.01.884, N81.02.01.327, N81.02.01.332) დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (სასტუმროები, საცხოვრებელი

სახლები და დასასვენებელი ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 26 მარტის N551 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 269000 კვ.მ., სადაც კორექტირებით წარმოდგენილია შენობა-ნაგებობების კონფიგურაციის ცვლილება და შენობების დანიშნულების გადანაწილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2020 წელს შესრულებულ სამუშაოთა წლიური ანგარიში“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2020 წელს შესრულებულ სამუშაოთა წლიური ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და დეტალურად ისაუბრა ბიუჯეტის შემოსულობებზე, არაფინანსური აქტივების კლებაზე, გარდამავალ ნაშთზე, პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილებულ ხარჯვით ნაწილზე და ფაქტობრივ შესრულებაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ბათუმის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, დიღმის ქედის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

36. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სერგი წულაძის ქუჩის მონაკვეთისთვის შალვა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

37. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის თეთრი წყაროს ქუჩის და თეთრი წყაროს I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

38. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეფე ლუარსაბ I-ის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

39. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გია ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

40. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

41. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I შესახვევისთვის და ალექსანდრე ჭავჭავაძის II ჩიხისთვის ფიჭვების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

42. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ღვინის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

43. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პოლიციის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის პოლიციის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

44. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში, ივანე მაჩაბლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 13 დადგენილება და 30 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სარევიზიო კომისიის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში

ქ.თბილისი 29 აპრილი 2021 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეულ სამუშაოებზე დაყრდნობით შედგენილია წინამდებარე ანგარიში, რომელიც კომისიაზე განხილვის შემდგომ წარედგინება საკრებულოს.

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის № 3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სარევიზიო შემოწმებების შედეგად შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნებზე დაყრდნობით.

2020 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2020 წლის 24 იანვარს, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 21 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 185 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო კომისია, სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის № 3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან

გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ჯგუფის წევრები შემოწმების წარმოებისას გარდა სარევიზიო კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა ხელმძღვანელობენ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დავალებით და მის საფუძველზე გაცემული შესამოწმებელი ობიექტის შემოწმების პროგრამით. ასევე, ხელმძღვანელობენ შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, რომლის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტი, ხოლო ჩატარებული შემოწმებისა და მის საფუძველზე შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნის სისწორეზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესაბამისი შემმოწმებელი ჯგუფი.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განხილვისთვის.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ) სარევიზიო კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

ქვეყანაში არსებული (“COVID – 19”) პანდემიიდან გამომდინარე, სარევიზიო კომისიაც ანალოგიურად იმყოფებოდა დისტანციურ მართვაზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, 2020 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა კომისიის მიერ ვერ იქნა შესრულებული.

სარევიზიო კომისიის მიერ წლის განმავლობაში შემოწმდა გეგმით გათვალისწინებული 4 (ოთხი) ორგანიზაცია (მეხუთე დაგეგმილი იყო და ვერ დასრულდა, რის გამოც შეჩერდა მისი შემოწმება), სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები.

სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმებულ და შემდგომ სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი ორგანიზაციები, კერძოდ შემოწმდა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა“ - ს მიერ, 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

2. ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის“ მიერ 2017 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

3. ააიპ ''ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“-ს მიერ, დაარსების დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

4. ააიპ „მუზეუმების გაერთიანება“ - ს მიერ, დაარსების დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“- ის შემოწმება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეჩერდა პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო.

საანგარიშო პერიოდში, სარევიზიო კომისიის მიერ განხილულ იქნა ასევე, კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის ფარგლებში შემოწმებული ორგანიზაციები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ერთი საქალაქო სამსახური და ხუთი რაიონული გამგეობა.

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

2. ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

3. მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

4. გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

5. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

6. დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ჩატარებული შემოწმებებით დადგენილი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

შემოწმებით დადგინდა:

1. დაირღვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 და 2018 წლის 06 მარტის N15-47 დადგენილებების და 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილების დანართი 1-ის მოთხოვნები, რომელიც ეხება კულტურის სფეროს საპროექტო განაცხადის მიღებისათვის განსაზღვრულ ვადას, რომლის დარღვევის შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება თუ ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ეს პროექტი არაა სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის. ასე მაგალითად, 2017 წელს ვადის დარღვევით განხილული იქნა კულტურის სფეროს 16 განაცხადი, 2018 წელს 37 განაცხადი და 2019 წელს ვადის დარღვევით განხილული იქნა 9 განაცხადი.

ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოები

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 13 სახელოვნებო სკოლაში, ხანძარსაქრობი სისტემის მონტაჟის სამუშაოების შესყიდვაზე 2017 წლის 31 ივლისს შ.პ.ს ,,ელ+''-სთან გააფორმა ხელშეკრულება N08.04.04/30/411, რომლის ღირებულებამ შეადგინა 149349,00 ლარი.

ხანძარსაქრობი სისტემები დამონტაჟებული იქნა 13 (ცამეტი) ობიექტზე, მომსახურეობის, ღირებულებამ შეადგინა 148 729,30 ლარი.

მხარეებს შორის 2017 წლის 28 სექტემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი N1. დოკუმენტაციას თან ახლავს შესრულებული სამუშაოს აქტი ფორმა N2, ასევე ავტომატური სახანძრო სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შემოწმების აქტები, სადაც თანხა ნაჩვენებია ობიექტების მიხედვით, თუმცა შესრულებული სამუშაოების მოცულობები გაწერილია ერთიან

ხარჯთაღრიცხვაში, ხოლო კონკრეტული ობიექტების მიხედვით ფორმა N2 შედგენილი არ არი.

3. ანალოგიური გვხვდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის 21 ობიექტებზე ხანძარსაქრობი სისტემის მონტაჟის სამუშაოების შესყიდვაზე, შ.პ.ს ,,ელ+''-სთან 2018 წლის 12 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება N08.04.04/30/422, ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა 248 259 ლარს.

2018 წლის 21 დეკემბერს, ხანძარსაქრობი სისტემების დამონტაჟებაზე მხარეთა შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი N1, დოკუმენტაციას თან ახლავს შესრულებული სამუშაოს აქტი ფორმა N2, ასევე ავტომატური სახანძრო სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შემოწმების აქტები, სადაც თანხა ნაჩვენებია ობიექტების მიხედვით, თუმცა, შესრულებული სამუშაოების მოცულობები გაწერილია ერთიან ხარჯთაღრიცხვაში, ხოლო კონკრეტული ობიექტების მიხედვით ფორმა N2 შედგენილი არ არი.

4. სატანვარჯიშო მოწყობილობები და ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვაზე შპს „საკემატა"-სთან 2018 წლის 30 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N08.06.04/30/483, საერთო ღირებულებით 141 000,00 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამის გვერდზე ატვირთულია 2019 წლის 16 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტი N1, რომელშიც მხარეები ადასტურებენ 141 000,00 ლარის ღირებულების ხელშეკრულებით მოთხოვნილი პირობების შესრულებას.

ხელშეკრულების მე-3 მუხლის, 3.1 პუნქტით მიწოდების ვადა განსაზღვრული იყო 60 კალენდარული დღით, ე.ი. 2018 წლის 28 დეკემბერით, ხოლო მიღება-ჩაბარება გაფორმდა 2019 წლის 16 იანვარს, შესაბამისად 18 დღის დაგვიანებით, რაზეც შემსყიდველმა 2019 წლის 18 იანვარს აცნობა მიმწოდებელს N12-01190182868 წერილით და მოსთხოვა ჯარიმის სახით 2 538 ლარის გადახდა.

2019 წლის 18 იანვარს მიმწოდებელმა წერილობით მიმართა შემსყიდველს და აღნიშნული თანხის დაკავება მოსთხოვა მათთვის გადასახდელი თანხიდან. არც ეთი ეს წერილი არა არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამის გვერდზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, „სამსახურ"-მა წერილებით N10/0119018911-19 და N19-01190181436 დროულად მიმართა შესყიდვების სამსახურს, რომელმაც თავის მხრივ არ მოახდინა რეაგირება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების (შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ), მე-5 მუხლის (ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიში), მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

5. ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონის გაერთიანებაში შემავალი „ახალი პანთეონისათვის" ღობის მოწყობის სამუშაოები შესყიდვის მომსახურეობაზე შპს „რეალ ენერჯი Real energy"-თან 2019 წლის 23 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N08.04.04/30/181, საერთო ღირებულებით 63 513,00 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურეობის ვადის ჩათვლით).

აღსანიშნავია, რომ შემოწმების პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამის გვერდზე ატვირთული იყო მხოლოდ ხელშეკრულება და ორი შეთანხმება. ხელშეკრულების მე-3 მუხლის, 3.2 პუნქტის თანახმად - მიმწოდებელს სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი უნდა წარმოაედგინა და შემსყიდველთან შეეთანხმებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის თანახმად ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველთან კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარმოუდგენლობის ან/და შეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმის გადახდა ერთჯერადად ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

ყოველვე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დარღვეულია 2019 წლის 23 აპრილის N08.04.04/30/181 ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.2 ქვეპუნქტის და მე-8 პუნქტის, 8.2 ქუეპუნქტის მოთხოვნები.

აღმოჩენილ დარღვევებზე სამსახურს მიეცა რეკომენდაციები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის, მთაწმინდის, გლდანის, ჩუღურეთის და დიდუბის რაიონული გამგეობები

საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ, ქალაქ თბილისის გამგეობების შემოწმების შედეგად აღმოჩენდა, რომ შენიშვნათა ნაწილი ძირითადად ერთი და იგივე ხასიათის იყო.

გამომდინარე აღნიშნულიდან მომზადდა საერთო სახის რეკომენდაციები, რომლებიც მიეცა ვაკის, მთაწმინდის, გლდანის, ჩუღურეთის და დიდუბის გამგეობებს.

1. **რეკომენდაცია:** უმჯობესი იქნება, თუკი საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო და დეფექტური დოკუმენტაციის შედგენა, ასევე განსაკუთრებით სამუშაოების მოცულობების და ზღვრული ფასების დადგენა მოხდება რეალურთან მიახლოებული სიზუსტით, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული ელექტრონული ტენდერის მთავარი ფუნქცია - საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენება.

2. **რეკომენდაცია:** შემსყიდველი სუბიექტის მიერ სატენდერო სავარაუდო ღირებულების დადგენა განხორციელდეს რეალურ საბაზრო ღირებულებასთან მიახლოებული სიზუსტით (სამუშაოს ერთეულის ფასების ექსპერტიზა).

3. **რეკომენდაცია:** ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციაში სრულყოფილად იქნას ასახული შესასყიდი ობიექტის მახასიათებლები „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-17 მუხლის შესაბამისად.

4. **რეკომენდაცია:** სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხელშეკრულების შეთანხმების შინაარსში ნათლად იკითხებოდეს ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული სამუშაო მოცულობების ცვლილების მიზეზი.

5. **რეკომენდაცია:** დაცული იქნას სატენდერო და სახელშეკრულებო მოთხოვნები შემსრულებელზე წერილობითი დავალებების გაცემის თაობაზე.

6. **რეკომენდაცია:** დაცული იქნას ხელშეკრულების მოთხოვნები სამუშაო პროცესში ინსპექტირების ოქმების შედგენის შესახებ.

7. **რეკომენდაცია:** უმჯობესი იქნება, რომ ყველა შემთხვევაში მოხდეს როგორც საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ისე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს სრული ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადგინდეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ღირებულება, ხარისხი და პროექტთან (ესკიზთან, ნახაზთან...) შესაბამისობა.

8. **რეკომენდაცია:** უმჯობესი იქნება პროექტის შესყიდვა მოხდეს უშუალოდ ინფრასტრუქტურული სამუშაოს განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

9. **რეკომენდაცია:** ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ბავშვთა გასართობი სივრცის მოსაწყობად გამოცხადებული შესყიდვებისას სავალდებულო წესით მოითხოვებოდეს საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები, სათამაშო ატრაქციონების და მასალის ტექნიკურ მახასიათებლებზე შესაბამისი სერტიფიკატები.

10. **რეკომენდაცია:** სოციალური დახმარებების გაცემისას მოხდეს გასაცემი დახმარების საჭიროებისა და ოდენობის განსაზღვრა ბენეფიციარის სოციალური მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლითა და ყველა შესაძლო კომპონენტის გათვალისწინებით. (თუ რეესტრით დაფიქსირებული აქვს ბინა და შემოწმებით დგინდება რომ, ბინა უვარგისია გამოსაყენებლად ამ შემთხვევაში დახმარება უნდა მიეცეს).

11. **რეკომენდაცია:** კულტურულ და სპორტულ ღონისძიებების გამართვისას გამგეობების მიერ შემსრულებლებისაგან მოითხოვებოდეს სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით მოთხოვნილი პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცის წარმოდგენა.

12. **რეკომენდაცია:** უმჯობესია სარიტუალო მომსახურეობაზე შემუშავებული იქნას ერთიანი მომსახურების ნუსხა (ტექნიკური დავალება), რის მიხედვითაც რაიონული გამგეობების მიერ მოხდება ქ.თბილისის მცხოვრებ მოსახლეობას, მიეცემა ერთნაირი სახეობის მომსახურების მიღების შესაძლებლობა.

13. **რეკომენდაცია:** გამგეობების მიერ სააღდგომო და საახალწლო სასაჩუქრე კალათები (ნობათი) შესყიდვები გამოცხადეს ანალოგიური ტექნიკური დავალების მიხედვით, რაც ხელშეუწყობს ქ.თბილისის მცხოვრებ მოსახლეობისათვის, ერთნაირი სახეობის დახმარების მიღების შესაძლებლობას.

შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა“

1) ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 21 აპრილის N10.34.560 დადგენილებით დამტკიცებული წესდების 8.2. პუნქტის თანახმად: „დირექტორს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კომპანიის პარტნიორი (ქონების მართვის სააგენტო) ან მის მიერ უფლებამოსილი პირი“ ამავე, წესდების 8.4. პუნქტის საფუძველზე, შესაბამისად მასთან გაფორმებულ უნდა იქნას ხელშეკრულება, რაც არ არის განხორცელებული.

2). ასევე პოლიკლინიკის ხელმძღვანელის მიერ, დამფუძნებელთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი მერიასთან წერილობით არ იყო შეთანხმებული 2020 წელს მოქმედი პოლიკლინიკის წლიური ხარჯთაღრიცხვის გეგმა, საშტატო განრიგი, დასაქმებულთა სახელფასო განაკვეთების ოდენობები და სხვა ნორმები, რითაც დარღვეულია ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის N10.34.560 დადგენილებით დამტკიცებული პოლიკლინიკის წესდების მე–6–ე პუნქტის 6.2. ქვეპუნქტის მოთხოვნები.

3). პოლიკლინიკაში ჩატარებული ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის თანახმად, საინვენტარიზაციო კომისია შედგებოდა 4 (ოთხი) წევრისაგან. რაც იმას ნიშნავს რომ, დაირღვა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ქონების მოთხოვნის და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის 5.3. პუნქტი: „სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების დროს, საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, მათ შორის, თავმჯდომარისაგან.“ ამავე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, ინვენტარიზაციის ჩატარება კომისიის წევრთა არასრული შემადგენლობით დაუშვებელია, ვინაიდან მისი შედეგები ჩაითვლება ბათილად.

ასევე, დარღვეულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 09 თებერვლის N70 ბრძანების, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც ინვენტარიზაციის აქტში, შეტანილი უნდა ყოფილიყო ნაღდი ფულის ნაშთი.

5). კერძო აუდიტორული კომპანიის დასკვნის საფუძველზე, პოლიკლინიკის ადმინისტრაციის მიერ, განხორციელდა 58 (ორმოცდათვრამეტი) ერთეული რბილი და მაგარი ინვენტარის ჩამოწერა, საერთო ჯამური ღირებულებით 766,78 (შვიდას სამოცდაექვსი) ლარი და 78 თეთრი.

აღნიშნილი საკითხი არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან, რითაც დაირღვა ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის N10.34.560 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე–3 მუხლის 3.5. პუნქტის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ქ. თბილისის 25–ე მოზრდილთა პოლიკლინიკა"-ის ხელმძღვანელობა გაეცნო სარევიზიო კომისიის შემოწმება-ანალიზის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს და მის ირგვლივ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელსაც იზიარებენ და ეთანხმებიან.

აარიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"

1. „თავშესაფარ"-ის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის ავეჯის შესყიდვაზე, ტენდერში გამარჯვებულთან შპს „მოდერნ სტილ"-თან, 2017 წლის 27 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N ელ.ტენ.16/17, რომლის საერთო ღირებულება 6183,20 ლარი დღგ-ს ჩათვლით, მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების მე-4 მუხლის „საქონლის მიწოდების პირობები და მიღება-ჩაბარების წესი", 4.1. პუნქტის თანახმად - „საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში".

მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი N1 გაფორმებულია 2017 წლის 09 ნოემბერს, შესაბამისად მიწოდება განხორციელებულია 3 დღის ვადაგადაცილებით, რაზედაც ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად მიმწოდებელს უნდა დარიცხოდა პირგასამტეხლო 37.1 ლარის ოდენობით (6183.2*0.2%*3).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დაირღვა ხელშეკრულების მე-4 მუხლის, 4.1. მოთხოვნა.

2. „თავშესაფარ"-ის ბალანსზე რიცხული შენობებში (ალიოშა ჯაფარიძის ქუჩა N15, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N60) სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე, შპს „ნოსტრა"-სთან 2018 წლის 06 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N ელ.ტენ.11/18, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 51744,90 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხელშეკრულებით გათავალიწინებული სამუშაოების მიწოდების ბოლო ვადა იყო 2018 წლის 16 დეკემბერი (2.3 მუხლი).

მხარეთა შორის 2018 წლის 21 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, სამუშაო მიწოდებულია 5 დღის ვადაგადაცილებით, შესაბამისად მომწოდებელი ექვემდებარებოდა დაჯარიმებას პირგასამტეხლოთი 129.35 ლარის ოდენობით (51744.9*0.05%*5).

შესყიდვების სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე არაა ატვირთული ზოგიერთი ტექნიკური დოკუმენტაცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების, მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის და ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2. პუნქტის „ ა“ ქვეპუნქტის და მე-8 მუხლის, 8.1. პუნქტის მოთხოვნები.

3. „თავშესაფარ“-ის სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვებისათვის ექსკურსიების მოსაწყობად საჭირო ტრანსპორტის მომსახურეობაზე 2019 წლის 22 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება Nელ.ტენ.04/19, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 1600 ლარს. სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობებით (2.3.1 პუქტით) მოთხოვნილი იყო არანაკლებ 20 ადგილიანი სატრანსპორტო საშუალება, ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრედენდენტმა, რომლის მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო საშუალება ა/მ ფორდ ტრანზიტი ტექ. პასპორტის მიხედვით არის 12 ადგილიანი (11+1), რაც შეუსაბამობაში იყო სატენდერო მოთხოვნებთან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების, მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტი და 2019 წლის 28 თებერვალს გამოცხადებული ტენდერის SPA190001301 მოთხოვნა მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ.

ჰუმანიტარული საქონელი სარეკომენდაციო ნაწილი

ჰუმანიტარული საქონელი მიღებულია ყუთების სახით. მათი აღრიცხვა-განაწილების შესახებ არსებობს მოხსენებითი ბარათები და ბენეფიციართა მიერ ხელმოწერით დადასტურებული სიები ჰუმანიტარული საქონლის მიღების შესახებ, თუმცა კი მოხსენებით ბარათებში გაცემები დაფიქსირებულია ყუთების რაოდენობებით და არ ფიქსირდება თვითეულ ყუთში რამდენი ერთეული მეორადი საქონელი იყო მოთავსებული. ამასთან, არ ჩანს ჰუმანიტარული საქონლის გაცემის საფუძველი და გამცემი პირის უფლებამოსილება.

ჰუმანიტარული ფორმით მიღებული საქონელის აღრიცხვა-განაწილების გამჭირვალობისა და მოწესრიგების მიზნით მიზანშეწონილია თვითეული ყუთის გახსნა და ყუთში მოთავსებული საქონლის აღრიცხვა წარმოებდეს ამ მიზნით შექმნილი კომისიის მიერ ბენეფიციართა ჩართულობითა და მონაწილეობით, ხოლო გაცემა-განაწილება კი უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი საფუძვლის მითითებით (ბრძანება, დავალება...) და სრულყოფილი, ბენეფიციართა ხელმოწერებით დადასტურებული ჰუმანიტარული საქონლის მიღების სიების წარმოებით, რაც უფრო გამჭირვალეს და კონტროლირებადს გახდიდა ჰუმანიტარული ფორმით მიღებული საქონელის აღრიცხვა-განაწილების პროცესს.

ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“ - რეკომენდაციები

1. „თავშესაფარ“-ში პასუხისმგებელმა პირებმა აკონტროლონ სატენდერო პირობების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
2. პრევენციის მიზნით ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ საჯარიმო სანქციები დაგვიანებით შესრულებულ სამუშაოებზე;
3. „თავშესაფარ“-მა უზრუნველყოს კომუნალური ხარჯების შესამცირებლად ღონიზძიებების გატარება.
4. „თავშესაფარ“-ში არსებული ჰუმანიტარული დახმარების გამჭვირვალედ აღრიცხვა-განაწილების მიზნით მოახდინოს მათი საცალო აღრიცხვა ხოლო გაცემა-განაწილება კი უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი საფუძვლის მითითებით (ბრძანება, დავალება...).

ააიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“

შესყიდვები

1) 2019 წლის 10 იანვარს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი SPA190000112 გაერთიანების ვარკეთილის ფილიალისთვის ინტერნეტ მომსახურების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 16 500 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს„მაგთიკომმა“(ს/კ 204876606), რომელმაც წარმოადგინა სატენდერო ფასი 13 200 ლარის ოდენობით. ვინაიდან პრეტენდენტის წარმოდგენილი ფასი 20 პროცენტით ნაკლები იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო დოკუმენტაციის 4.1.1 პუნქტის

თანახმად პრეტენდენტისგან მოთხოვნილი იქნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, აკრედიტირებული ექსპერტიზის ან აკრედიტირებული აუდიტის დასკვნა, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი.

შედეგად შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე SPA190000112 ელ. ტენდერს მიენიჭა სტატუსი შეწყვეტილია. აღნიშნული ინტერნეტ მომსახურების შესყიდვის მიზნით გაერთიანებამ 2019 წლის 22 იანვარს კიდევ გამოაცხადა ელ. ტენდერი SPA190000404 სავარაუდო ღირებულებით ისევ 16 500 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის 4.1.1 პუნქტიდან ამოღებულ იქნა სიტყვა “აკრედიტირებული“ და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასადასტურებლად მითითებულ იქნა ექსპერტიზის ან აუდიტის დასკვნის წარმოდგენა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „მაგთიკომმა“, რომელმაც ამჯერად სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა 16 280 ლარის ოდენობით და საკასო ხარჯმა შეადგინა 16095.18 ლარი.

სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო პირობის გადაუმოწმებელი ინფორმაციის მითითებამ გამოიწვია, მომსახურების შეესყიდვის ნაცვლად 13 200 ლარისა, გაერთიანებამ გადაიხადა 16 095,18 ლარი (2895,18 ლარით მეტი).

2) 2019 04 აპრილს გამოცხადდა ელ. ტენდერი SPA190002026 გაერთიანების ვაკის და ვარკეთილის ფილიალებისთვის რბილი იატაკების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება იყო 50 000 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო რვა პრეტენდენტმა. მათგან უმცირესი ფასის წარმომდგენ შპს „AIDIN CARPET“-თან გაფორმდა ხელშეკრულება N04ტ, ღირებულებით 18 303 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 18303 ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტი ტენდერში მონაწილე რვა პრეტენდენტიდან ექვსმა სატენდერო წინადადების ფასი დაწია 40 და მეტი პროცენტით

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დასკვნაში (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ის დასკვნა N100) მითითებულია რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასი შეესაბამება საბაზრო ფასებს, აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა თუ რამდენად სწორად მოხდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

3) 2019 წლის 26 ივნისს გაერთიანებას და შპს „ელვა.ჯი“-ის შორის ელ. ტენდერის SPA190011718 მეშვეობით დაიდო ხელშეკრულება N06ტ, ღირებულებით 30 303 ლარი. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა 53 სახეობის ჟურნალ-გაზეთების სახელმწიფო შესყიდვა. საკასო ხარჯმა შეადგინა 28116,90 ლარი. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული და ფაქტიურად მოწოდებული ჟურნალ გაზეთების რაოდენობების შედარებისას ირკვევა რომ 53 დასახელების ჟურნალ-გაზეთებიდან მხოლოდ ექვსი დასახელებაა იმ რაოდენობით მოწოდებული როგორც ხელშეკრულება ითვალისწინებდა, 34 დასახელება მოწოდებულია ნაკლებობით და 13 დასახელება მოწოდებულია მეტობით, რასთან დაკავშირებითაც არანაირი შეთანხმება არ არსებობს. ხელშეკრულების 11.1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

4) 2019 წლის 01 ივნისს გაერთიანებასა და შპს „მიქს სერვისს“ (ს/კ 404568464) გამარტივებული შესყიდვის CMR190105619 მეშვეობით გაფორმდა ხელშეკრულება N45, ღირებულებით 4 950 ლარი. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა გაერთიანების ვარკეთილის ფილიალში დამონტაჟებული გამაგრილებელი სისტემის ე.წ. ჩილერის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია ექვს პუნქტიანი ხარჯთაღრიცხვა:

არც ხელშეკრულებაში და არც მიღება-ჩაბარების აქტში ზუსტად არ არის მითითებული მომწოდებლის მიერ ხარჯთაღიცხვის მე-4 პოზიციით „მილების დადუღება“ განსაზღვრული სამუშაოს მოცულობა, ასევე მე-3 პოზიციით „აზოტი“ და მე-6 პოზიციით „ფრეონი“ განსაზღვრული გამოყენებული მასალის მოცულობა.

შესრულებული სამუშაოს მოცულობებთან და მოწოდებული საქონლის რაოდენობასთან დაკავშირებით სარევიზიო ჯგუფის გამოთქმულ შენიშვნებს, შემოწმებული ობიექტის ხელმძღვანელობა იზიარებს.

ააიპ „მუზეუმების გაერთიანება“

1.ა(ა)იპ ,,მუზეუმების გაერთიანების შრომის განაწესის მე-3 პუნქტის 3.1.1 ქვეპუნქტის თანახმად: ,,თანამშრომელი ვალდებულია გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე ,,გაერთიანების“ მიერ დადგენილ სამუშაო საათებში, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების

შესაბამისად, ხოლო 3.1.2 ქვეპუნქტის თანახმად: ,,თანამშრომელი ვალდებულია, სამუშაოზე გამოცხადება და სამუშაო დღის დასრულება დააფიქსიროს სპეციალურ სააღრიცხვო მოწყობილობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩვენს მიერ შემოწმებულ პერიოდში **მუზეუმების გაერთიანების ადმინისტრაციას** სპეციალლური სააღრიცხვო მოწყობილობა არ გააჩნია, მიუხედავად ამისა გაერთიანების ხელმძღვანელობა არ იყენებს ალტერნატიულ საშუალებას (აღიცხვის ჟურნალს.) თანამშრომელების სამუშაოზე გამოცხადება-წასვლის აღრიცხვისათვის, ასევე არ მიმდინარეობს ტაბელის წარმოებაც.

2. 2017 წლის 04 ოქტომბერს შ.პ.ს ,,ნ.გ გრუპ"-თან გამარტივებული საშუალებით გაფორმებული N88 ხელშეკრულება ითვალისწინებდა 25 პერსონაზე, ფურშეტის მომსახურეობის გაწევას 500 ლარის ღირებულების ოდენობით. შემოწმებით გაირკვა, რომ გაწეული ხარჯების შესახებ არ არის დოკუმენტაციით მტკიცებულება (მენიუ, გადახდის ქვითარი და სხვა.).

3. 2017 წლის 14 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ა(ა)იპ ,,მუზეუმების გაერთიანებასა და შ.პ.ს ,,ბრენდისი"-ს შორის 1125 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების შესყიდვას. გაირკვა, რომ ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების შესაბამის დანართში და მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული არ იყო შესრულებული სამუშაოს ადგილმდებარეობა.

ამავე ხელშეკრულების N1 დანართის თანახმად 1125 ღირებულების სამუშაოები ითვალისწინებდა 3 ცალი (ზომით 84*60) და 45 ცალი (ზომით 42*30) ჩარჩოების ჩასმას. საბუთებით ვერ დგინდება რა სახის ჩარჩოებზეა საუბარი.

მსგავსი მდგომარეობა 2017 წლის 23 მარტს შ.პ.ს ,,დანი"-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე (210,74 ლარი) ამ შემთხვევაში არ არის მითითებული შესრულებული სამუშაოს ადგილმდებარეობა. ამასთან ერთად მიღება-ჩაბარების აქტი არის დაუთარიღებელი და შესყიდვაში ნაჩვენებია ცელოფნის ფირი (ორმაგი).

4. 2018 წლის ივნისში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომელიც ეხება დიმიტრი უზნაძის N12-ში მდებარე კოტე და სოსო წერეთლების მემორიალური ბინა-მუზეუმის შენობის

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას, რის თაობაზეც 2018 წლის 28 ივნისს შ.პ.ს ,,ბილდკინგსთან" გაფორმდა N107 ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები ითვალისწინებდა: ფარული სამუშაოების წარმოებისას უნდა შეედგინათ, ფარული სამუშაოების დამადასტურებელი ვიზუალური მასალა (ფოტოსურათები და წერილობითი) აქტები.

წარმოდგენილი მონაცემების შემოწმებით გაირკვა, რომ 42 სხვადასხვა დასახელების სამუშაოებზე არ არის შედგენილი ფარული სამუშაოების აქტები და არც ფოტო სურათები. ამის მიუხედავად გაერთიანების მიერ შ.პ.ს ,,ბილდკინგი"-ს სასარგებლოდ გადარიცხულია 1067 ლარი.

შემოწმების მხრიდან ნაკლოვანებად მიჩნეულია; ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე, სადაც გარკვევით აღნიშნულია, რომ შემსრულებული სამუშაოების ჩამონათვალში ყვითელი ფერით აღნიშნული სამუშაოებზე ვერ წარმოადგინეს ფარული სამუშაოების აქტები.

5. გაერთიანების მთავარ ბუღალტერის საქმიანობა გაერთიანებაში ცალკეული მატერიალურ ფასეულობათა აღიცხვიანობასთან დაკავშირებით ფიქსირდება ხარვეზები. ასე მაგალითად: 2018 წლის ივლისში გაერთიანებამ შეიძინა 10 ცალი 12 720 ლარის ღირებულების ლეპტოპი. აქედან 6 ცალი საგანმანათლებლო პროგრამების კურატორების მოთხოვნისა და შესაბამისად დირექტორის ნებართვის საფუძველზე გადაეცა მუზეუმებს, ხოლო 4 ცალი გაერთიანების სხვადასხვა თანამშრომლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალებში არ ფიქსირდება ლეპტოპი და არ არის გამოკვეთილი მათზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული საკითხი მუზეუმების გაერთიანების ხემძღვანელობის მხრიდან შემოწმების პროცესში იქნა გამოსწორებული.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 13 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 26 საკითხი.

ორგანიზაციებში ჩატარებული შემოწმებების შედეგად ნანახი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები.

დარღვევებთან დაკავშირებით ორგანიზაციებს, შემოწმება-ანალიზის დასკვნებიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მიეცათ წერილობითი რეკომენდაციები.

შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, იგზავნება დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად აღმოჩენელი დარღვევები, რომელიც ასახულია შემოწმება-ანალიზის დასკვნებში, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება მათ საქმიანობაზე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძე